ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/13

დაბა ქედა, **12 ოქტომბერი, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/13 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

12 ოქტომბერი, 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ამირან ციწცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

დღის წესრიგის დამტკიცებამდე განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ და განაცხადა, რომ არჩევნები მოახლოვებულია, საარჩევნო საუბნო კომისიები დაკომპლექტებულია და ბევრი საჯარო მოხელე ღებულობს მონაწილეობას კომისიის საქმიანობაში, რომელიც არაკანონიერი და მიუღებელია, მათ შორის საკრებულოს აპარატის უფროს მუხრან სალაძე, რომელიც 01 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრია, მას როგროც საჯარო მოხელეს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად არ აქვს უფლება, შვებულებაში გასვლის გარეშე იყო კომისიის წევრი და ეს ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსი გამოყენებაში.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტების გაკეთება სთხოვა საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძეს, რომელმაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის შესაბამისად განაცხადა, რომ ,,საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს საჯარო მოსამსახურე (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ"–„კ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა). მასზე არ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ დადგენილი მოთხოვნები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად საჯარო მოსამსახურის დანიშვნის/არჩევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში დროებით შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილას, რისთვისაც მას კანონით დადგენილი წესით ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ან კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად". წარმოდგენილი სამართლებრივი ნორმა არ ზღუდავს საკრებულოს აპარატის უფროსის საუბნო საარჩევნო კომისიაში ყოფნას, გამომდინარე იქედან, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი პირდაპირ ადგენს შეზღუდვებს და თანამდებობრივ შეუთავსებლობას საჯარო მოხელეებზე, სადაც არ შედის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა. ასევე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 ივნისის №44 ბრძანების თანახმად ახალი კორონავირუსის - „COVID-19"-ის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით საკრებულოს თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელება შენარჩუნებულია ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში - საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს აპარატის განყოფილებებში ცხადდება თითო თანამშრომელი, შესაბამისად საკრებულოს აპარატის უფროსს, გარდა სამსახურეობრივად მნიშვნელოვანი ან/და აუცილებელი/გადაუდებელი გარემოების შემთხვევისა, არ მოეთხოვება სამსახურში გამოცხადება, რაც თავისთავში გულისხმობს მისთვის საუბნო კომისიაში საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას.

საკრებულოს თავმჯდომარე, შუქრი თურმანიძემ აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიაში საოლქო კომისიის მიერ შერჩეულ საჯარო მოხელეს საქმიანობა ვერ ჩაეთვლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში, რადგან ეს არ წარმოადგენს პარტიულ საქმიანობას და ვაჟა ბოლქვაძის განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით აცდენილია სამართლებრივ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-06/13 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-06/13 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი.

1. **მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ წარმოადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად განსახილველ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2020 წლის 2 ნოემბერს დღის 18 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 03 ნოემბერს დღის 15:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი). „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 06 ნოემბერი (შიდა დოკუმენტი: №170-04, 09.10.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №38).

2. **მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ წარმოადგინა „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად განსახილველ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2020 წლის 3 ნოემბერს დღის 18 საათამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 03 ნოემბერს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 06 ნოემბერი (შიდა დოკუმენტი: №170-04, 09.10.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №39).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად განსახილველ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ოთარ ხარაძე).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2020 წლის 2 ნოემბერს დღის 18 საათამდე სოციალურ საკითხთა კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 03 ნოემბერს დღის 17:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი). ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 06 ნოემბერი (შიდა დოკუმენტი: №170-04, 09.10.2020 წელი; შიდა დოკუმენტი: №170-04, 09.10.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება № 40).

4. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ქონების საკითხებში გულადი წითელაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის N33 განკარგულებით დამტკიცებულია მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხა, სადაც შეტანილია 14 ერთეული ქონება.

დამტკიცებულ საპრივატიზაციო ნუსხაში დამატებით შესატანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 (ორი) ერთეული ქონება, კერძოდ:

1. სოფელ ძენწმანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1164 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.31.333). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 11640 ლარად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს შპს „ლუკალექსი“ ეკონომიკური საქმიანობისათვის (განცხ. N4370/03 02.10.2020წ). სადაც განთავსდება გაყინული კარტოფილის ფრის საწარმო და განხორციელდება 300 000 ლარის ინვესტიცია, რომელშიც დასაქმდებიან მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა და აღნიშნული ობიექტის შექმნით, დამატებით ეკონომიკური სარგებელი გაუჩნდება როგორც მოსახლეობას, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

2. სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 8966 კვ. მეტრი (ს/კ 21.01.37.776). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 89660 ლარად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს ა(ა)იპ „ქედის ბიზნეს ასოციაცია“ (განცხ.N4311/03 29.09.2020წ), რომლის შეძენის შემთხვევაში დაგეგმილი აქვს ააშენოს კაფე-რესტორანი პანორამული ტერასით, მოაწყოს ეთნოგრაფიული კუთხე, ე.წ. ზიპლაინი, შემინული ლიფტი და სხვა ტურისტული მომსახურების ობიექტი. რომლის ამოქმედების შემდგომ მასში დასაქმდება მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა და აღნიშნული ობიექტის შექმნით, დამატებით ეკონომიკური სარგებელი გაუჩნდება როგორც მოსახლეობას, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

მუნიციპალიტეტის კუთვნილი ორი ერთეული ქონება გაყიდულია ელექტრონული აუქციონის გზით და ამოსაღებია საპრივატიზაციო ნუსხიდან, კერძოდ: (N12 და N13) სოფელ დოლოგანში მდებარე 135,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.01.31.007) და სოფელ ქვედა ბზუბზუში მდებარე 276,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.01.35.465).

დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძის N10-ში მდებარე ორი ერთეული ქონება (ს/კ 21.03.33.016.01.502 და ს/კ 21.03.33.016.01.503) მოითხოვს დაზუსტებას, რადგან შიდა ნახაზები თავის დროზე შედგენილია არაზუსტი ხელსაწყოთი და არ ასახავს ფართების რეალურ მდგომარეობას, რომლის დაზუსტების შემდგომ, დაინტერესების შემთხვევაში, უნდა მოხდეს

აღნიშნული ქონებების საჯარო აუქციონზე გატანა. ამიტომ ზემოთხსენებული ორი ერთეული ქონება N10 და N11 (ყოფილი საწყობი და ყოფილი საკონდიტრო საამქრო) ამოსაღებია საპრივატიზაციო ნუსხიდან.

ასევე, საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოსაღებია N-7 და N-9 ქონებები - ავტომანქანა უაზი (მდებარე სოფელ მერისში) და ავტომანქანა ნივა (მდებარე დაბა ქედა). რადგან აღნიშნული ქონებების გაყიდვა უნდა მოხდეს ჯართის სახით, დასადგენია ავტომანქანების ზუსტი წონა, რის შემდგომ შესაძლებელია იქნება მათი პრივატიზების მიზნით აუქციონზე გატანა. (შემოსული დოკუმენტი: №93/04, 07.10.2020 წელი).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავჯდომარე შუქრი თურმანიძემ აღნიშნა, რომ, სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 8966 კვ. მეტრი (ს/კ 21.01.37.776). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 89660 ლარად, აუქციონის გამართვას მოითხოვს ა(ა)იპ „ქედის ბიზნეს ასოციაცია" (განცხ.N4311/03 29.09.2020წ), რომლის შეძენის შემთხვევაში დაგეგმილი აქვს ააშენოს კაფე-რესტორანი პანორამული ტერასით, მოაწყოს ეთნოგრაფიული კუთხე, ე.წ. ზიპლაინი, შემინული ლიფტი და სხვა ტურისტული მომსახურების ობიექტი, მიზანშეწონილია განხილულ იქნას საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი საკმაოდ მოცულობითია, ამიტომ მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით საკრებულოს შემდეგ სხდომაზე კომისიას უნდა ქონდეს დასკვნა წარმოდგენილი.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ განაცხადა, რომ ნაწილობრივ საკითხის გადადებას მხარს არ დაუჭერდა. უმჯობესი იქნებოდა მთლიანი საკითხი გადადებულიყო შემდეგი სხდომისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი მოიცავს სხვადასხვა პუნქტებს, რომლებიც შესწავლილია და მიზანშეწონილია შეტანილი იქნას ცვლილების სახით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით (საპრივატიზაციო ნუსხის პროექტის №10-ს გამოკლებით) კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 4 (ვაჟა ბოლქვაძე, გენად არძენაძე, ბაქარ ბარამიძე და გოჩა გათენაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით.

(განკარგულება№ 41).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 12:30 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **შუქრი თურმანიძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**